საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მე-3 კლასში

იაგორ ბალანჩივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:iagor.balanchivadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac

სტატიაში საუბარია საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების თავისებურებებზე. როგორ დავადგინოთ პრობლემა, განვახორციელოთ ინტერვენცია, რომელიც დაგვეხმარება პრობლების გამოსწორებაში. თემა აქტუალურია, რადგან ვეხებით მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებას. ამისათვის მოსწავლეებს შევაყვაროთ კითხვა, გამოვუმუშაოთ წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი, რათა შემდეგ ადვილად შეძლოს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება. ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლეებს სააზროვნო უნარების განვითარებაში. მოსწავლესა და მის მშობელს გავაცნოიერებინოთ გააზრებული კითხვის მნიშვნელობა.

კვლევის მიზანია, ეფექტური აქტივობების გამოყენებით გავაუმჯობესოთ მე-3 კლასში საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება. კვლევის ამოცანაა, გამოვავლინოთ არსებული სირთულეების გამომწვევი მიზეზები და პრობლემები, მოვიძიოთ მათი გადაჭრისა და აღმოფხვრის გზები. კვლევის მთავარი კითხვაა: როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება და გააზრება.

გამოვიყენე მოსწავლეთა დიაგნოსტირება (დასაწყისში და ბოლოში), მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფი და მშობელთა ანკეტირება. დიაგნოსტირების ეტაპზე შევამოწმეთ მოსწავლეებში სინფორმაციო ტექტის გაგება-გააზრების უნარი.

პრობლემების დასაძლევად დავგეგმეთ შესაბამისი ინტერვენციები. ინტერვენციების შეფასების ეტაპზე გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები, კერძოდ კი, კვლევაში ჩართული მოსწავლეთა კითხვისადმი დამოკიდებულება პოზიტიურად შეიცვალა, აქვე აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებში გაიზარდა და გაუმჯობესდა საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება. კვლევაში ჩართული მასწავლებლების მეთოდები, მიდგომები და სტრატეგიები საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის კუთხით გაცილებით მრავალფეროვანი გახდა.

ინტერვენციების გამოყენებით შედეგები თითქმის ყველგან გაორმაგდა, თანმიმდევრული აქტივობებითა და მეთოდებით შესაძლებელი გახდა მოსწავლეებისათვის შეგვეყვარებინა კითხვა; შერჩეულმა სტრატეგიებმა მოსწავლეებს ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესის აქტიურად ჩართვასა და წაკითხული ტექსტების გაგება-გააზრებაში; საგრძნობლად შეიცვალა მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხი, ისინი უფრო მოტივირებულები, თავდაჯერებულები და გაბედულები გახდნენ.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო, კითხვა, გაგება-გააზრება, დიაგნოსტიკა, ინტერვენცია, განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებლის კარიერული წინსვლისთვის პედაგოგიური საქმიანობის კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. სწორედ ის გვაძლევს საშუალებას დავინახოთ მასწავლებლების შესაძლებლობების მაქსიმუმი და დავგეგმოთ ახალი ეტაპები. სწავლის პროცესში ბევრი ისეთი ასპექტია, რომლის განვითარება აუცილებელია შემდგომი წინსვლისთვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ წაკითხულის გააზრება გახლავთ მნიშვნელოვანი საკითხი ამისათვის. მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში კითხვის განვითარებაზე ზრუნვა, ასევე ბავშვებს უნდა გავუმდიდროთ ლექსიკა, რაც შემდგომ დაეხმარებათ სათქმელის სწორად და მკაფიოდ გადმოცემაში. ვთვლი, რომ ჩვენ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წერა-კითხვის გაუმჯობესებასა და წიგნიერების ცნების განვითარებაში.

კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ ეს უნარები განაპირობებენ პიროვნების პროფესიულ თუ აკადემიურ წარმატებას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში წაკითხულის შინაარსის გაგება-გააზრებასა და გადმოცემასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულეები. კითხვის უნარის დახვეწა მეტწილად დამოკიდებულია კითხვის სწავლების მეთოდებზეც.

კვლევისათვის გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი: მასწავლებლები - ფოკუს ჯგუფი

მიზანი: გამოიკვეთოს ის პრობლემები, რომლებსაც მასწავლებლები ხვდებიან მოსწავლეების მიერ წაკითხული საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებისას.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სხვა კლასის მოსწავლეებთანაც იკვეთება ანალოგიური პრობლემები. დაწყებით საფეხურზე საინფორმაციო ტექსტის გაგება-

გააზრების პრობლემის მიზეზად სახელდება მწირი ლექსიკური მარაგი, გაწაფული კითხვის უნარის არქონა, ტექსტის გააზრებისა და დასკვნების გამოტანის სტრატეგიების არცოდნა და არასწორად შერჩეული ტექსტი.

მასწავლებლები საინფორმაციო ტექსტის უკეთ გაგება-გააზრებისთვის იყენებენ პაუზით კითხვას, ლექსიკურ ერთეულზე მუშაობას, სქემებს, კითხვა-პასუხს, სიუჟეტურ-როლურ თამაშებსა და ხარაჩოს მეთოდს.

მშობლები - ანკეტირება. **მიზანი:** რამდენად არის ჩართული მშობელი შვილების წიგნიერების დონის ამაღლებაში, რამდენად მიეწოდება ინფორმაციები მშობლისაგან.

მშობლების კითხვარის ანალიზმა დაგვანახა, რომ მოსწავლეები კითხვას მცირე დროს უთმობენ, ისინი ძირითადად დაკავებულნი არიან მეგობრებთან თამაშით. საინფორმაციო ლიტერატურის კითხვის სიხშირე არც ისე მაღალია. მშობლები მეტ-ნაკლებად ახერხებენ ბავშვებთან ერთად კითხვას, თუმცა ისინი ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს. ბავშვები იშვიათად კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას, ამიტომ უმეტესობას უჭირს დიდი ზომისა და რთული საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება.

მე-3 კლასის მოსწავლეები - დიაგნოსტიკური ტესტირება (დასაწყისში, მსვლელობის დროს და ბოლოში), **მიზანი:** გავარკვიოთ, თუ რამდენად უჭირთ მოსწავლეებს წაკითხული საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება.

მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ ტესტირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ეს გვეხმარება გავარკვიოთ, თუ რამდენად უჭირთ მოსწავლეებს წაკითხული საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება. მოსწავლთა დიაგნოსტიკური ტესტირებისთვის გამოვიყენეთ გამოცდების ეროვნული ცენტრი ,,ვსწავლობთ წაკითხულის გააზრებას ‘’ კვლევის საინფორმაციო ტექსტი „დინოზავრები“, რომელიც ინდივიდუალურად წაიკითხა 24 მოსწავლემ და ტექსტის მიხედვით უპასუხა ღია და დახურულ შეკითხვებს. წინარე ტესტირების შედეგები ასეთი იყო:



დიაგნოსტიკის ეტაპზე, ჩვენ დავადგინეთ, რომ მოსწავლეებს უჭირთ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, ნაკლებად ფლობენ კითხვის სტრატეგიებს, დაბალია კითხვისადმი მოტივაცია, უჭირთ არგუმენტირებული მსჯელობა და ა. შ.

სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის და მასწავლებელთა დიდი გამოცდილების საფუძველზე დავგეგმეთ ინტერვენციები. აუცილებელია, გავაძლიეროთ მუშაობა პირობიესეულ ცოდნაზე, მეტი აქცენტი გავაკეთოთ ცოდნის ტრანსფერზე. ინტერვენციები ხელს უწყობდა მოსწავლეთა დაინტერესებას, მათი მოტივაციის ამაღლებას, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და სწავლის ხარისხის ამაღლებასა.

სწორად განხორციელებულმა ინტერვენციებმა დაგვანახა შემაფერხებელი ფაქტორები და საშუალება მომცა მივსულიყავი აზრამდე, რომ სწორი მიდგომებით, აქტივობებითა და მეთოდებით შესაძლებელია მოსწავლეებს შევაყვაროთ კითხვა და ვასწავლოთ საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება.

განხორციელებულ ინტერვენციებში აქტიურად იყვნენ ჩართულები მე-3 კლასის მოსწავლეები. გამოყენებულმა მიდგომებმა, მეთოდებმა აქტივობებმა, მრავალფეროვანმა რესურსებმა და შერჩეულმა სტრატეგიებმა მოსწავლეებს ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესის აქტიურად ჩართვაში და წაკითხული ტექსტების სწორ გაგება-გააზრებაში.

ინტერვენციების მიმდინარეობისას შუალედური, ხოლო დასრულების შემდეგ კვლავ ჩავატარე საბოლოო დიაგნოსტიკური ტესტირება. მოსწავლეებმა ინდივიდუალურად იმუშავეს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებაზე. შედეგები ასეთია:



ტესტირების შედეგების ანალიზიდან გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა უმეტესობა უკეთესად იაზრებს საინფომაციო ტექსტს, რაც აისახევა მათ შედეგებზე. თანმიმდევრული აქტივობებითა და მეთოდებით შესაძლებელი გახდა მოსწავლეებისათვის შეგვეყვარებინა კითხვა. შერჩეულმა სტრატეგიებმა მოსწავლეებს ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესის აქტიურად ჩართვასა და წაკითხული საინფორმაციო ტექსტების გაგება-გააზრებაში;

ლიტერატურა:

1.გზამკლევი მასწავლებლებისათვის. ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები.ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი. 2011.

2.ელიზბარაშვილი ი. - წაკითხული ტესქტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები, თბ.2019.

3.კითხვის ეფექტური მეთოდები (დაწყებითი, ემერჯეტული წიგნიერება)- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016წ.

4.პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია - წიგნიერება. მასწავლებლის სახელმძღვანელო.. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი თბ., 2012 წელი.

5.ჭუმბურიძე ნ. - სტრატეგიები, წაკითხული ტექსტის გაგება- გააზრებისათვის //მასწავლებელი//19 მარტი 2019წ. http://mastsavlebeli.ge/?p=20897

Iagor Balanchivadze

Akaki Tsereteli State University

Development of comphrehension skilss in 3rd grade

Abstract

The article is about the peculiarities of understanding information text. How to identify the problem, implement an intervention to help correct the problems. The problem is relevant, because we are dealing with issues of raising the literacy level of pupils. To do this, let the pupils fall in love of reading, develop the ability to understand what they read, so that they can easily understand the informational text. For the latter, we should help pupils develop thinking skills. Let,s introduce the importance of thoughtful reading to the pupil and his parents.

The aim of research is to improve the understanding of the informational text in the 3rd grade by using effective activities. The task of research is to reveal the causes and problems of existing difficulties, to find ways to solve and eliminate them. The main research question is: how to improve pupils's reading and understanding of important information from informational text.

For this purpose, I used the diagnostoc of pupils (at the beginnging and at the end), focus group of teachers and parents. At the diagnosis stage, we chekes the pupils' ability to understand the informational text.

We have planned appropriate interventions to overcome to problems. By using interventions, the result doubled almost everywhere, with consistent activities and methods, it was possible to make pupils fall in love with reading; The selected strategies helped the pupils to actively engage in the learning process and understand the read of text.

Key words: informative, reading, comprehension, diagnosis, intervention, developmental assessment.